სამშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 31 № 253
წელიწადი მეოთხე

სამშაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 31 №253
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15—73**

ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

29 ქრისტეშობისთვეს ჩვენმა ჯარმა აიღო შულავერი. მტერი ბრძოლით იხევს სამხრეთისკენ. მტერი დიდათ დაზარალდა. წამოვიყვანეთ 100 ჯარისკაცი და 7 ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი, 15 ტყვიისმფრქვეველი, რამდენიმე საარტილერიო საწყობი და მრავალი საომარი მასალა.

გუშინ ცხარე ბრძოლა იყო ეკატერინენფელდის სამხრეთით.

იანვრის 5-ს მარსელში ფრანგულ-სირიული კონგრესი გაიხსნება.

საფრანგეთის ჯარი გონდენში შევიდა.

მადიართა ბატონობისგან განთავისუფლებულ სლოვენიაში დიდი მანიფესტაციები გაიმართა.

ოსმალეთში პარლამენტი დაითხოვეს.

კავკასიის ასურელთა ეროვნული საბჭო დელეგაციას გზავნის პარიზში შეთანხმების სახელმწიფოებთან ასურეთის აღდგენისთვის მოსალაპარაკებლად.

მწუხარებაში მყოფნი ქვრივი ბარბარე დავითის ასული, რძალი ოლღა სარდიონის ასული, ძმისწულები ივანე გიორგის ძე ხადირბეგიშვილი და ნინა გიორგის ასული წერეთლისა, დისწულები ბარბარე ივანეს ასული ფავლენიშვილისა და ზეგან ივანეს ძე ხერხეულიძე, სიძე სოლომონ ექვთიმეს ძე წერეთელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

კონსტანტინე როსტომის ძის

ხადირბეგიშვილის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 2 იანვარს (ახ. სტ.) ქ. ხაშურში.
1990 2—1

ღრმად დამწუხრებული ადამ ზურაბის ძე და ნინა დიმიტრის ასული ბერელაშვილები შვილებით: ბარბარე, ზურაბი, გაიოზ, დავითი, თამარა და ვასილი ფარნაოზის ძე კიკნაძე ატყობინებენ ნათესავთა და ნაცნობთ 29 ქრისტეშობისთვეს სომხებთან ბრძოლაში გმირულად მოკლულის შვილის და ძმის პირველისა და უკანასკნელის ცოლის ძმის მე-2-ე გიმნაზიის მე-8-ე კლასის მოწაფის მე-2 ცხენოსანი პოლკის უნცროს ოფიცრის

სოსო (იოსებ) ბერელაშვილისას

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 ს. საკუთარ ბინაზე ნიკოლოზის ქუჩა № 84. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 1—1992—1

ღრმეს მწუხარებაში მყოფი, გულმოკლული ივანე ანტონის ძე ზოდელავა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროვოდ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

ვერა (ვარუშკა) ზაქარიას ასული

ზოდელავასი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 საათზე, ტრამვაის ქუჩა № 5. დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 იანვარს, დილის 10 საათზე დიდუბის ეკლესიაში. 2—1989—1

ღრმად დამწუხრებულნი კნ. მარიამ სარდიონის ასული, ელენე, ზურაბ, სარდიონ და ტარიელ წერეთლები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი ქმრის, მეორენი ძვირფასი მამის

თავ. ირაკლი მელქისედეკის ძის

წერეთლისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 საათზე, ბინა—ლორის-მელიქოვის ქუჩა № 20. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 2—1991—1

ანტონი და ისლამი დუტუს ძენი, იასონი ანტონის ძე ზოდელავარი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი რძალი

ვერა ზაქარიას ასული

ზოდელავასი

დასაფლავება თბილისში, დიდუბის ეკლესიის ეზოში 2 იანვარს. 1—1989—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

სამშაბათს, 31 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

არტისტიული საზოგადოების თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 2-ს, 1919 წელს

ქართული სტუდიის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ლალატი

დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა.
რეჟისორები: ზ. ბერიშვილი და გ. ჯაბადარი.
ადმინისტრ. მიხ. ხერხეულიძე. ◆ დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
3—90—2

სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 1 იანვარს, საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თაოსნობით სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემად და სასარგებლოდ გაიმართება:

დიდი მხატვრული საღამო

შინაარსი:

„**პირიმზე**“ სამუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა) 1 მოქმ. კ. ფოცხვერაშვილისა.

„**სიმფონიური და სასიმღერო განყოფილება**“ ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებთაგან.

მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის, „[illegible]“ ანსამბლი [illegible] საზოგადოების და მსახიობთა კავშირის საუკეთესო ძალები.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. გამგე **საქართვ. მეომართა დამხ. კომიტეტი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. აფიშები არ გამოვა.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

საქართველო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

ერთი წლით	150 მანეთი.
ნახევარი წლით	75 „
სამი თვით	40 „
ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)	15 „

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

ფოსტის ადრესი: თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

ტელეგრაფის ადრესი: თბილისი „საქართველო“.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

(კრებული წერილებისა)

შულავერის აღება

წინდაწინ მომზადებულს სომხეთის მთავრობას და სამხედრო შტაბს უნდოდა მოულოდნელი თავდასხმით ესარგებლა და თბილისი გარემოეცვა.

მართალია იშვიათად ყოფილა ისტორიაში ასეთი პრეცედენტი ავაზაკური თავდასხმისა და დიპლომატიური თაღლითობისა, როგორიც გამოიჩინა სომხებმა, როცა ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დახოცეს ჩვენი სანაპიროების მოდარაჯენი. მაგრამ თბილისი მათთვის ისე ძნელად დასათმობი ყოფილა, რომ არ შეუშინდენ ისედაც საეჭვო ეროვნულ რეპუტაციის გაფუჭებას და მთელი ქვეყნის წინ აშკარა დანაშაულობა ჩაიდინეს.

სომხები ანგარიშობდენ იმას, რომ გამარჯვებ[illegible]ლებს არ სჯიან, მით უმეტეს მსაჯულად [illegible]ებულებოდათ ინგლისი, რომლის ძეგო[illegible]რობასაც სჩემობენ. მოულოდნელი თავდასხმა [illegible] გულისხმობდა მათ გამარჯვებ[illegible]

როცა მთავრობამ გაიგო ეს თავდასხმა, ჯერ ვერც კი გაერკვია ვისთან ჰქონდა საქმე და ბრბოებთან საბრძოლველად გაამგზავრა რაზმები და ჯავშნიანი მატარებელი.

როცა ბათომის ძლიერი სიმაგრე დაეცა—ნატანებთან სწორედ ჯავშნიანი მატარებელი შეებრძოლა ოსმალებს—ყველამ იცის ამ სახელოვანი ბრძოლის ამბავი, ოსმალები ვერ აუვიდნენ დახოცილების გადატანას. სომხეთთან ომში ორი ჯავშნიანი მატარებელი დაიღუპა უბრალოთ—იმდენათ გაურკვეველი იყო მტრის სამხედრო დაფასება და მოულოდნელი ყოველ მხრიდან დავდასხმა რეგულიარული ჯარის ნაწილებისა და ამბოხებული ბორჩალოელ სომხის გლეხობისა. ეს პირველი პერიოდია ომის, რომელიც უკვე გათავდა.

გუშინ ქართული შტაბის ცნობით ჩვენმა მამაცმა ჯარმა აიღო დიდიხნის ბრძოლის შემდეგ შულავერი, სასტიკათ დაამარცხა მტერი და განაგრძობს დევნას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ნამდვილი ომი აქედან იწყება და არავითარ ძალას არ შეუძლიან ხელი შეუშალოს ქართულ ჯარს, სისრულეში მოიყვანოს თავისი გადაწყვეტილება, რომ ომი მიიყვანოს ლოღიკურ დასასრულამდე და ბორჩალოს მაზრა გასწმინდოს სომხებისაგან. შულავერის ბრძოლამ დაამტკიცა, რა საფრთხეს წარმოადგენს თბილისისათვის მის ახლო ისეთი ხალხის ბინადრობა, რომლის მიზანია თბილისი დაიპყროს. ასეთი ხალხით დასახლებული ადგილები—ჩაწყობილი ნაღმებია თბილისისა და საქართველოს წინაალმდეგ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევას შეუძლია ის ააფეთქოს და სახელმწიფოს კატასტროფა გამოიწვიოს.

ამ ომის აზრია, რომ მთავრობამ დააფასოს ეს გარემოება და ფაქტიური განხორციელება მისცეს იმ დასკვნას, რომელსაც ეს ომი იძლევა საზოგადოდ და კერძოდ შულავერის ბრძოლა. საკმარისი არ არის კონტრიბუციის დადება შულავერზე,—საჭიროა რომ ბორჩალოს სამაზრო ქალაქის ნაციონალიზაცია მოხდეს. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მეამბოხეთა მამულების კონფისკაციის შესახებ, ამის იურიდიულ საფუძველს იძლევა.

მთელ საქართველოს მოედება სასიხარულო ამბავი შულავერის აღებისა და პატრიოტულ აღფრთოვანებას კიდევ უფრო გააძლიერებს. ჩვენ არასრომ დავამციროთ მოწინააღმდეგის ეროვნული ღირსება. სომხებს გატეხილი აქვთ მეომარი ხალხის სახელი, მაგრამ უნდა ითქვას ოსმალებთან და ქურთებთან ბრძოლამ მათში მილიტარისტული ნებისყოფა გამოიწვია და გააძლიერა. ყაჩაღურ ბრძოლას მიჩვეულნი, საქართველოშიც სცდილობენ ბარბაროსულ მეთოდების გადმოტანას, მაგრამ ქართველმა ჯარმა აჩვენა, რამდენად საბედისწერო იქნება მათთვის ასეთი ომის გაგრძელება.

შულავერი დასაწყისია... ამას უნდა მოყვეს კიდევ სხვა გამარჯვება, უამისოთ არ დასცხრება საქართველოს მამაც ჯარისა და გვარდიის გამაცეცხლებელი ენერგია და არ დაკმაყოფილდება შეურაცყოფილი სამართლიანობის გრძნობა.

4

შეუდგომელის სიმკაცრით

არის საგნები, რომელთა უმსხვერპლოთ გადაჭრა შეუძლებელი გამხდარა. უძლური და ულონო გამოდის ყველა სამშვიდობო საშუალება და გარემოებას კატასტროფიულად შეიარაღებულ ბრძოლისკენ მიყევხართ. საჭიროა რკინა და ცეცხლი, სიკვდილი და სისხლი. რაც გინდ საზარელი იყოს, სინამდვილე მაინც ამას გაიძულებს. შეურიგებელი წინააღმდეგობა უნდა მოისპოს და ამისთვის ერთ ერთი მოწინააღმდეგის განადგურება აუცილებელი ხდება. ამ მიზნით დაღვრილი სისხლი გმირობისა და თავდადების ემბლემად გარდაიქცევა და საერთო აფრთოვანებას და თაყვანებას იწვევს. სიცოცხლე მხოლოდ იმდენად ფასდება, რამდენადაც იგი ეწირვება ომსა და მის საგანს. დგება წუთი: „ან გამარჯვება ან სიკვდილისა“,—ამ ღრმა განცდის. იქნება დიდი, უნივერსული პათოსი: პათოსი ენერგიისა, პათოსი ურთიერთთან დაახლოვების, გაერთიანების; პათოსი თავმოყვარეობის და თავდადების, პათოსი სიცოცხლისა და საცხოვრებელის დაუზოგველობის. და ეს ორივე მხრიდან. აქ ერთმანერთს ეზომება მოწინააღმდეგეთა სასიცოცხლო ძალა. ამ გვარ პირობებში არც სიმართლეა გამარჯვების საწინდარი და არც სიმტყუვნეა დამარცხების მომასწავებელი. თუნდაც იმიტომ რომ თითეული მხარე თავის თავს მართლად სთვლის. თუ არ ესეთი სუბიექტიური საფუძველი. დიდი მსხვერპლის გამეტება შეუძლებელი იქნებოდა. საქართველო თან და თან ამ უნივერსულ-ეროვნულ პათოსში შედის. მთელი ქვეყანა ერთის გრძნობით და ერთის მიზნით იმსჭვალება. ამ საყოველთაო აღტკინებამ ბორჩალო-ბამბაკი და ჯავახეთი სამარადისოდ საქართველოს უნდა დაუცვას. არავის პრეტენზიას ამ მხარეზედ არ შეიწყნარებს ქართველ ერი. ამისთვის დღეს იგი იბრძვის და იხოცება, ამისთვის იბრძოლებს და დაიხოცება ხვალაც.

აქ მარტო ბორჩალო-ახალქალაქის საკითხი არ არის, აქ თბილისის საკითხია. მეტიც, რასიული იდეის ბატონობის საკითხი, საქართველოში ერთ ბრძანებლობა ხელთ ვის უნდა ეპყრას შეუცილებლად, საქართველოს იდეას, თუ სომხეთის იდეას? ეროვნული არსებისა, ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხია, ამიტომაც შეუბრალებელი და შეუდრეკელი უნდა იყოს საქართველოს მახვილის მრისხანება.

მიზანია—სრული და საბოლოო ლიკვიდაცია სომხეთის პრეტენზიისა და შეთქმულობის. სამუდამოთ უნდა აღეკვეთოს ხალისი საქართველოში თავის ბატონობის სიმაგრის აგებისა. ამისთვის მტრის განადგურების იდეა უნდა იყოს დღეს ქართველი ერის ერთად-[illegible] ბრძოლის ველზე, ისე მის [illegible] თბილისში, ერთ გარდმწყვეტილების აღსრულებას უნდა სწარმოებდეს უყოყმანოდ: **საქართველოს დაცლა მტერთაგან.** ბრძოლის ველზე ეს მინდობილი აქვს იარაღს, ჯარის ზურგში—ადმინისტრატიულ ღონისძიებას. ჩვენმა სახელმწიფოს აპარატმა უკუდაუხეველის სიმძაფრით ეს უნდა ჩაატაროს. ამას მოითხოვს ერი და ჯარი. ან ეხლა, ან არასოდეს. ხალხის რისხვას ვერავინ დაემალება, თუ ნახევარ ზომებით დაკმაყოფილდნენ და თუ ეს საკითხი რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ თავში საცემად გაგვიხდა.

მთავრობამ ეს არ დაივიწყოს.

შორს ჩვენი ხასიათის ნაკლი: შებრალება და შეწყალება. შეურიგებელი წინააღმდეგობის მიზეზები ამ გზით არა ჰქრებიან და სამშობლოს მომავლის დამკვიდრება ამ ცხოვრების მძაფრ ბრძოლაში ნევრასტენიას არ შეუძლიან!

სპ. კედია.

Dura lex, sed lex

მთელი ქართველობის გულისყური დღეს მიქცეულია ბრძოლის ველისკენ, სადაც უშიშარი და მამაცი საქართველოს ჯარი და სახალხო გვარდია თავგანწირულად ეკვეთება ქურდულად შემოხიზნულ სომხის ურდოებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებისა აზოგადოების ჯეროვან ყურადღებას არ იწვევს და სრულიად დაჩრდილული მიმდინარეობს გართულებულ ურთიერთობაში.

ზარბაზნების საზარელ ჭექა-ქუხილში რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო შვიდი თუ რვა დღის განმავლობაში დინჯად და შეუშფოთებლად იძიებდა იმ უდიდეს და მიუტევებელ დანაშაულობას სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე, რომელიც რუს-სომეხთა შეთქმულებით ძეგვის ხიდის ჰაერში ასროლაში გამოიხატა.

ვინც ბეჯითად თვალყურს ადევნებდა სასამართლოს პროცესს, მისთვის აშკარაა, რომ ძეგვის რკინის გზის ხიდის აფეთქება—ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების რთული გეგმისა, რელიეფური გამოხატულებაა მათი დაუფარავი განზრახვისა, საქართველოს დამხობა და განადგურება რომ დაუსახავს მიზნად!

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლ. გაზ. „საქართველო“-ზე

რესპუბლიკის სამსჯავროს წინაშე მეორე ხარისხოვანი პერსონაჟები წარსდგნენ, უფრო ფიზიკური აღმსრულებელნი აღმაშფოთებელ დანაშაულობისა, თუმცა a parte მა საქციელი თანაბრად დასასჯელ პროცესმა ეჭვის დაუბადებლად დაგვარწმუნა, რომ რესპუბლიკის დედა-ქალაქში არსებობს ფარული და დიდი ორგანიზაცია, რაშიაც თავი მოუყრიათ უმთავრესად სომხებსა და რუსებს და რომლის გარდაწყვეტილებითა და დასტურით ეწყობოდა მდიდარი სასწყობებისა, თუ ხიდების აფეთქება და სხვა, საქართველოს საწინააღმდეგო გამოსვლანი.

ძეგვის ხიდის აფეთქების სულის ჩამდგმელნი, რორგორიც არის მაგალითად, რუბენ ჩალხუშიანი (ღვიძლი შვილი იმ ყველასგან ცნობილ გრ. ჩალხუშიანისა, რომელიც რუსეთის გაზეთებში უსინიდისოდ ამახინჯებს ყოველგვარ ცნობას საქართველოს შესახებ და უთვალავ ავაზაკურ საქციელში ბრალსა სდებს ჩვენს ხალხსა და მთავრობას) მიიმალნენ გამოძიებისა და სასამართლოსაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა ამ საზიზღარ აქტის „არიადნას ძაფი“ საგანგებო სასამართლოს ხელთ ეპყრო და ბრალმდებელთა და სამოქალაქო მომჩივანთა პირით შეუცდომლად აღინიშნა საქმის ნამდვილი ვითარება.

ბრალდებულთა დამცველნი უღირსად ცდილობდნენ სასამართლოსათვის გზა-კვალი აებნიათ სხვა მნიშვნელობის ფაქტორის გარევით სასამართლოს წინამდებარე პროცესში, ხმა გაისმა საგანგებო სასამართლოს კომპეტენციაზე და საერთაშორისო ნორმებით ხელმძღვანელობის აუცილებელ საჭიროებაზე, მაგრამ პროცესსუალურ ეფექტებით შეპყრობილ ვექილებს სულ უბრალო იურიდიული მცნება დაავიწყდათ, რომ ბრალდებული პერსონალურადაც პასუხსაჰგებს ჩადენილ დანაშაულობაში. საგანგებო სასამართლო ფორმალურადაც ვერ შეიწყნარებდა დამცველების წინადადებასა, თუ გაფრთხილებას: „უცხო ძალის“ მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აქტებში მე[illegible]ბოდა და სასტუმრო „ორიანტის“ ბლანკით გაცემული „მოწმობა“ ხომ ნათლად ამჟღავნებდა იმასაც, რომ თვით ვექილები უნებლიეთ აჰყოლიან ავანტიურისტებს.

პროცესის განმავლობაში ვექილი ზელენსკი დღე მუდამ იმის რწმუნებაში იყო, რომ ბრალდებული ინჟენერ-პოლკოვნიკი შმაგაილოვი საქართველოს საზიანოდ ოდნავაც არ მოქმედებდა და ჯოჯოხეთურ გეგმას გერმანიის შესამუსრავად აწყობდა განსაკუთრებით. ვინ დაუჯერებდა ენაწყლიან ადვოკატს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხიდის აფეთქება დასავლეთის ასპარეზზე ომის ბედის სასწორს მოკავშირეთა სასარგებლოდ გადასწყვეტდა?! რა საგრძნობი ძალა მიენიჭებოდა უკვე ჰარაქათ გამოცლილ გერმანიას იმით, რომ ორი-სამი ათასი ჯარისკაცი ომის დამთავრებისას სამშობლოში მივიდოდნენ?! სურსათის გატანას ხელს უშლიდა ბოროტგამზრახველი? მაგრამ გერმანიის დელეგაცია ოფიციალურად გვამცნობს, რომ გამოფიტულ საქართველოდან არაფრის გატანას არ აპირებდნენ მიმავალი ეშელონები... მაშ რაშია საქმე? სრულს ჭეშმარიტებას ამბობდა ერთი სამოქალაქო მომჩივანთაგანი, რომელიც ძეგვის ხიდის აფეთქებაში ორი ნაკადის შეერთებას უჩვენებდა მსაჯულებს: დაშნაკცუტუნის და დიდმპყრობელ რუსეთის იდეა ძეგვის ხიდზე შეიკვანძა, ხოლო ამოძახილი მისი სანაინის ტყე-ღრეში გაისმა!.!

დიდი რუსეთის აღდგენას ძველ საზღვრებში დამოუკიდებელი საქართველო, რასაკვირველია, ხელს შეუშლიდა, ამიტომ მის წინააღმდეგ ენერგიულად უნდა ამხედრებულიყვნენ რუსეთის აღორძინების მოტრფიალენი. გამოყოფილ საქართველოს დასასჯელად ყველა საშუალებანი მისაღები გამოდგა და უმთავრეს მაგისტრალის დანგრევა მხოლოდ დასაწყისად ჩაითვლებოდა საერთო ნგრევისა და აოხრებისა.

სუვერენულ საქართველოზე ბნელი ძალები აჯანყდნენ! სახელმწიფო იძულებული შეიქმნა მათ წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიეღო და ის სასტიკი სასჯელი, რომელიც ძეგვის ხი[illegible] სახელმწიფოს უზენაეს პრინციპისგან ბრძანებლობით ნაკარნახევია.

საგანგებო სასამართლომ თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ ამა წლის 5 ივლისს დამტკიცებულ კანონის მე-6 მუხლისა, ორივ დამნაშავეს—შმაგაილოვსა და კოჩორიანცს—სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. საშინელი სასჯელია! და მხოლოდ მტრებისაგან გარშემორტყმული სახელმწიფო მიჰმართავს ამ უკიდურეს საშუალებას უდიდეს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სასტიკია რესპუბლიკის კანონი, მაგრამ იგი კანონია!

რ. ინგილო.

პრესსა

ომის გაგრძელება.

„ერთობა“ მეთაურ წერილში ეკამათება სომხურ გაზეთ „მშაკ“-ს, რომელიც ითხოვს ომის შეწყვეტას და კონფერენციის მოწვევას.

„ერთობა“ სწერს:

მაგრამ რა პირობებში უნდა შესწყდეს ომი? ისე, რომ ძალმომრეობა შერჩეს იმათ, ვინც ამ ბოროტების ალმური აანთო, თუ ისე, რომ ძალმომრენი აილაგმონ და უკან იქნენ გაბრუნებულნი?

სამწუხაროთ „მშაკი“ ამაზე სდუმს.

სამაგიეროთ იგი სხვა წერილებში აცხადებს: ლორი, ბორჩალოს და სხვა სადაო ნაწილები ეკუთვნის სომხეთსა და კიდეც უკვირს, რომ საქართველოს მთავრობა მაზრას თავისად სთვლის.

აქედან საერთოდ ასეთი დასკვნა გამოდის, რომ სომხეთის ჯარმა, რაც მტრული შემოსევით დაიპყრო, ის მას უნდა მიეცეს, ხოლო მოლაპარაკება... ალბათ დანარჩენზე უნდა სწარმოებდეს.

მაგრამ ეს ხომ ნამდვილი გამართლებაა დაშნაკელების ავანტიურისა? ეს ხომ გამეფებაა მათი მუხანათური პოლიტიკისა? ომის დაწყებამდე, რომ იყო, იმ მდგომარეობის აღდგენაც. კი არ სურს ამ გაზეთს რომ ამით საფუძველი მიეცეს სადაო კითხვების საშვიდობიანის გზით [illegible]

ჩვენ კი [illegible] ვდგევართ. ლოღიკა ჩვენი ამ შემთხვევაში სწორია და მარტივი: ჩვენ საქართველოს კუთვნილებათ მიგვაჩნია ბორჩალოს მაზრა, სომხების მთავრობას—სომხეთის საკუთრებათ. მაშასადამე უნდა მოხდეს, ან მოლაპარაკება და შეთანხმება ან მესამე პირის მოწვევა მსაჯულად, ესე იგი არბიტრაჟი.

სწამს თუ არა ეს გზა „მშაკის“ სოციალისტებს?

ჩვენ ეჭვი გვებადება ამაში. ისინი ამბობენ ბორჩალოს სადაო ნაწილი სომხეთისაა, დანარჩენებზე კი ვილაპარაკითო. ესე იგი კონფერენციამდე სწყვეტენ საკითხს. დავის გათავებამდე გამოაქვთ განაჩენი და ამავე დროს ჰგონიათ, რომ ობიექტიურ და დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგანან.

მაგრამ ეს ხომ იგივე დაშნაკელების პოლიტიკური პროგრამაა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დაშნაკელებმა თავის არგუმენტებს იარაღი წამოაშველეს. „მშაკის“ სოციალისტებს კი იარაღის წამოშველება არ სურთ. სამაგიეროთ თავის „სოციალისტურ“ სიბრძნის გამო ამ იარაღისთვის წინააღმდეგობის გაწევასაც ცოდვათ გვითვლიან ჩვენ. მაგრამ სად ნახულა ან გაგონილა, რომ ამოწვდილ ხმალს თავისი ნებით კისერი მიუშვიროს ვინმე ჭკვათამყოფელმა. ცხადია, მაშასადამე, ომის დამწყებთ ჩვენ იარაღით უნდა მივეგებოთ და მათი დამარცხებით ასეთ საშინელ ბოროტების განმეორებაზე ხელი ავაღებინოთ“.

უკვე ნათქვამია ყველა სიტყვები—მოლაპარაკების და მორიგების დრო წავიდა. „ერთობა“-მ კიდევ აღმოაჩინა ახსლი სოციალისტები „მშაკი“-დან, რომ ეკამათოს და უმტკიცოს დემოკრატიული გულწრფელობა. ეს კამათი ალბათ ისეთ აბსურდამდის მივა, რომ სადაო შეიქნება უნდა, თუ არა დასჯა ამბოხებულ სომხებს?..

ომის აზრი ნათელია და საჭირო ზომებსაც დროზე უნდა მიღება...

საპარლამენტო ქრონიკა

საფინანსო კომისიაში.

საფინანსო კომისიაში შემდეგი კანონ-პროექტები შემოვიდა: 1) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის კანონ-პროექტი, ღვინოზე აქციზის გადიდებისა; 2) ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი კახეთის რკინის გზისათვის სესხად 1.512,000 მ. მიცემის შესახებ; 3) შრომის მინისტრის ამხანაგის კანონ-პროექტი ჯარში გაწვეულ მუშათა და მოხელეთა ადგილისა და ჯამაგირის შენახვის შესახებ; 4) იუსტიციის მინისტრის კანონ-პროექტი იუსტიციის სამინისტროს შტატის შესახებ.

—

შესდგა პარლამენტის საფინანსო კომისიის კრება რომლის განსახილველი იყო კანონპროექტები ფინანსთა მინისტრისა: 1) ღვინოზე აქციზის გადიდების შესახებ და 2) კახეთის რკინის გზისთვის სესხად 1.512.000 მ მიცემის შესახებ.

ქრონიკა

იანვრის 10-იდან ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული რომანი: „ტრფობა წამებული“.

ხვალიდან ჩვენი გაზეთის ცალკე ნომერი ეღირება 80 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 1 მან.

ქალაქის არჩევნებისათვის ქალაქის მცხოვრებთ აღწერის საქმე ნელის ნაბიჯით მიდის, როგორც ჰსჩანს 3 დღეში ვერ გათავდება, რადგანაც აღმწერთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადებულა. ჩაწერილი იყო 700 კაცამდე გამოცხადდა [illegible]

საქართველო-სომხეთის ომ

ბრძოლის ველი

სომხეთ-საქართველოს ბრძოლის ასპარეზს რომ თვალი გადაავლოთ, ადვილად შენიშნავთ რომ იგი გზების რკალით არის შემოხაზული. თბილი[illegible] დასავლეთისკენ გაჰყვეთ, ისევ თბილისში დაბრუნდებით აღმოსავლეთით. ეს გზა თბილისიდან მიდის ბორჯომ-ახალქა-

საერთაშორისო კონფერენციისთვის

მთავრობამ შეადგინა კიდეც საზავო დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში ინგლისური ხომალდით პარიზისკენ აპირობს გამგზავრებას. გაზეთებში ცნობა იყო, რომ საერთაშორისო კონგრესი საფრანგეთის დედა-ქალაქში უნდა შესდგეს მომავალ [illegible]ხულსა ან [illegible]ფხულში. ასეა თუ ის, [illegible]ველს შემთხვევაში ჩვენს დიპლომატებს დრო [illegible] მოცალეობა ექნებათ, რომ დაახლოებით გაეცნონ ევროპას, როგორიც ის არის დიდი ომის შემდეგ.

არ გვგონია, რომ ამ მოგზაურობას partie de plaisir ის ხასიათი ექნეს ბ. ჩხეიძისა და ბ. წერეთლისთვის. პირიქით, საფიქრებელია, რომ ეს უფრო მძიმე პატრიოტული ვალდებულების შესრულება იქნება ვიდრე სიამოვნება. დღეს მეტის მეტად გაძნელებულია დასავლეთ ევროპაში მოგზაურობა. თითქმის სახა სულხანისებური დაბრკოლებების დაძლევა მოუხდებათ ჩვენს დესპანებს. თან უნდა წაიღონ ყველა საჭირო საბუთები, საგზალი, ფული, რადგან შემდეგ შეუძლებელი იქნება ცნობების ძიება და მოწოდება. ევროპამ თითქო რავდენიმე საუკუნით უკან დაიხია. მოშლილია და განადგურებული საერთაშორისო კავშირები, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ტეხნიკამ შექმნა: საფოსტო, სატელეგრაფო, სარკინისგზო და სანაოსნო. დაირღვა არა მარტო ეგრეთ წოდებული მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც ეროვნული ზღუდეები უნდა მოესპო და ახალი კოსმოპოლიტური ტიპი შეექმნა, არამედ—დაირღვა თვით უბრალო კულტურული ურთიერთობა ევროპიელ ერებს შორის.

ეს ალბათ იმით აიხსნება რომ დიდმა ომმა შეარყია თვით საფუძველი ევროპიული კულტურისა. ალაგ-ალაგ გაჩაღებულია სოციალური რევოლუცია, ალაგ-ალაგ ეროვნული ომი. წარმოება და მეურნეობა განადგურებულია, აღებმიცემობა ფრთაშეკვეცილი, მაწარმოებელი შრომა მოდუნებული. ხალხი გაბოროტებულია ცხოვრების გაძვირებისა, სურსათის უქონლობისა, ეპიდემიური სნეულების მიერ. ჯარები ნაწილ-ნაწილ შინ ბრუნდებიან ბრძოლის ველიდან. მაგრამ არც გამარჯვებულები, არც დამარცხებულები არ უნდა გრძნობდნენ სიხარულს. თითქო დამარცხებულია მთელი ევროპა, ყველაფერს სამგლოვიარო თალხის ფერი ლეჩაქი აქვს გადაფარებული. უცხოეთიდან ახლად ჩამოსულები ამბობენ, რომ საქართველოში მეტი მოძრაობა და სიცოცხლის დუღილია ვიდრე სადმე ევროპაში და დღევანდელი თბილისი უფრო კულტურული ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე დღევანდელი ვენა ან ბერლინი.

ევროპაში დღეს ხდება ცვლილება, რომლის მსგავსი კაცობრიობას შეიძლება არც კი განეცადოს ხალხთა გადასახლებისა და ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ. ჩვენ არ შეგვიძლია ამ ცვლილების გაზომვა და დაფასება, რადგან ძლიერ ახლო ვდგევართ მასთან: ამას მხოლოდ მომავალი თაობა თუ შესძლებს. ჩვენი აზროვნება ტრადიციულ ფორმებშია მოქცეული და ჩვენ არ გაგვაჩნია მცნებები ახალ მოვლენების გამოსახატად. ის რასაც ჩვენ რუსულ ან გერმანულ ბოლშევიზმს ვუწოდებთ, ნამდვილად სრულიად მოულოდნელი და განუმეორებელი კულტურული სახეა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ტრადიციულ მეცნიერულ სოციალიზმთან. და დღევანდელი მოსკოველი ან ბერლინელი სოციალისტი მინისტრები ისე ჰგვანან მარქსსა და მის პირველ მოწაფეებს, როგორც საშუალო საუკუნის პაპები ან საეკლესიო მამები ქრისტესა და მის პირველ მოციქულებს ჰგვანდნენ.

მართლაც რუსეთისა და გერმანიის მაგალითმა კიდეც დაგვანახვა, რომ სოციალისტების გაბატონება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალიზმის დამყარებას ამ ცნების პირვანდელი მნიშვნელობით. კაპიტალის ავტორი უეჭველია დიდათ განცვიფრებული იქნებოდა, თავისი სამშობლო რომ ენახა „სოციალისტური გადატრიალების მეორე დღეს“. თანამედროვე გერმანია როგორღაც არ უნდა ჰხატავდეს არც ბებელის მიერ დახატულ პოეტურ სურათს. ხდება რაღაც სრულიად შეუსაბამო და გაუგებარი. ცხადია მხოლოდ [illegible] რომ კაპიტალიზმი ნადგურდება [illegible] მანიაში. მაგრამ რა წესწყ[illegible] მყარდება მის ადგილზე? [illegible] პავლე მოციქულს, კარლ კაუცკის, მხოლოდ ის-ღა დარჩენია სთქვას, რომ „კაპიტალიზმის განადგურება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის დამყარებას“.

მართალია ებერტმა და ფილიპე შეიდემანმა შეიძლება სთქვან, რომ სრულიადაც არ ჰფიქრობდნენ სოციალისტური რევოლუციის მოხდენას. მაგრამ რევოლუციურმა ძალებმა გერმანიაში ისეთი გასაქანი მოიპოვეს კიდეც, რომ ზომიერ პოლიტიკოსებს აღარ შეუძლიათ მათი დაურვება. შობის წინა დღეს, 24 დეკემბერს, ბერლინში მოხდა მეორე შეიარაღებული შეტაკება მთავრობის ჯარსა და გერმანელ ბოლშევიკებს შორის, რომელიც ძალიან წააგავს რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას. როგორც შარშან პეტროგრადში, ისე ახლა ბერლინში აჯანყებულებს მეზღვაურები მეთაურობენ. ამ აჯანყებულებთ ჰყავთ თავიანთი ლენინი და ტროცკი: ესენია ლიბკნეხტი და ლედებური. ბოლოს, ანალოგიის დასამთავრებლად გერმანიის დედაქალაქშიც ჩნდებიან ენერგიული და გამბედავი ავანტიურისტები: უკანასკნელი ცნობების მიხედვით ბერლინის კომენდანტათ ლეიტენანტი რიშერი დაუნიშნავთ, ყოფილი დომინიკელი ბერი; ეს არისო მთავრობის დათმობა მეამბოხე მატროსების წინაშე.

თუ ბოლშევიზმის გამარჯვება გერმანიაში ფაქტი არ არის კიდეც, ყოველ შემთხვევაში დიდხანს აღარ დააყოვნებს. ეს უახლოესი დღეების საქმე უნდა იყოს. მაგრამ ამასთან ერთად ცხადია ისიც რომ ბოლშევიზმი მსოფლიო მოვლენაა და გერმანიის საზ[illegible]რებზე აღარ გაჩერდება. ეს ბრ[illegible]დისწერაა, რომ ლლოიდ ჯ[illegible] კლემანსოს მთავრობა სწ[illegible] აღვივებს გერმანიის ბ[illegible]გორც წინათ ვილჰ[illegible]რობა რუსეთის [illegible]და. სწორეთ [illegible]ლი მეთო[illegible] კავშირ[illegible] მტრ[illegible]

ბუნებრივ მოკავშირეს უქმნიან თავიანთ უძლიერეს მტერს, ბოლშევიკურ რუსეთს. მაგრამ რუსეთისა და გერმანიის დაახლოვება ხდება არა მარტო მიტომ რომ ორივე სახელმწიფოში ერთი და იგივე რევოლუციური პროცესი სწარმოებს, არამედ მიტომაც რომ მათი ეროვნული ინტერესები ეთანხმება ერთმანეთს. ლენინმა სხვათა შორის რუსეთის საგარეო პოლიტიკის რევოლუცია მოახდინა. ეს მან ინსტიქტიურად იგრძნო და აღნიშნა კიდეც 29 ივლისს სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტების სხდომაზე. მაგრამ დიდათ ნიშანდობლივია, რომ ორიენტაციის საკითხში ბოლშევიკების ლიდერს დაეთანხმა ლიბერალურ რუსეთი ლიდერი მილიუკოვი, რომელიც როგორც სჩანს, დარწმუნდა, რომ ამიერიდან რუსეთი მხოლოდ დიდი ბრიტანიის ხარჯზე შეიძლება გაძლიერდეს.

მოკავშირეები ფაქტიურად ომს აწარმოებენ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის ომი კრედიტორისა, ჰირვეული მოვალის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არის აგრეთვე რეაქციული და რევოლუციური ძალების შეჯახება. ამიტომ დიდი წინასწარ[illegible]ტყველური ნიჭი არ არის საჭირო [illegible]გრძნობლად, თუ ვინ [illegible]ს ამ დიდს ბრძოლაში [illegible]ბამ უკანასკნ[illegible] მოასწრო [illegible] გად [illegible] რომ [illegible]

გად დაგვანახვეს ძველმა ბერძენმა ტრაგიკოსებმა.

ცეცხლის ენამ უნდა გალოკოს ძველი ევროპის მჭვარტლიანი შენობა. ამაშია აზრი და გამართლება ბოლშევიკური რევოლუციისა. იმ კულტურას, რომელმაც ტეხნიკაში წყალქვეშა ნავები და ჰაეროპლანები მოგვცა, ხოლო ხელოვნებაში კუბიზმი და ფუტურიზმი, აღარ აქვს არავითარი პერსპექტივა. ამ გზით აღარ შეიძლება წინსვლა, თვითგანადგურება უნდა მოხდეს, რომ საზოგადოთ შესაძლებელი გახდეს ახალი ევოლუცია. ბოლშევიზმი ჯანსაღი ბარბაროსობის აჯანყებაა გაფაქიზებული და სისხლნაკლები კულტურის წინააღმდეგ. ეს მატროსები, ქალაქის პროლეტარები და ბოგანო გლეხები დღეს იმ როლს ასრულებენ, რომელიც რომის იმპერიაში ვანდალების, გოტების და ფრანკების ურდოებმა შეასრულეს. და ლენინი ან ლიბკნეხტი მათი არმინიუსი და მათი ტეოდორიხია.

ცხადია, რომ გადაჭარბებული იმედები არ უნდა დავამყაროთ ევროპაში მიმავალ დესპანებზე. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ბედი დასავლეთ ევროპაში „იჭედება“ და ყველაფერი რაც ჩვენს საზღვრებსა და წესწყობილებას შეეხება დიდი სახელმწიფოების კონგრესზე გადასწყდება. ეს წარმოდგენა [illegible]ოიბულია და როგორც [illegible]ხსნება, რომ ჯერ [illegible]ულვართ ტრადი[illegible]ნ. ჩვენ, ვიცით [illegible]ი დიდი სახელ[illegible] ეს კონცერტი [illegible]ისო უფლების [illegible]ამასრულებელი [illegible]ახელმწიფოები [illegible]ენ ამ დიდი [illegible]ის ხელში. [illegible]ართლაც ამ [illegible]მიხედვით [illegible], რომ ეს [illegible]

[illegible]ც ეს ასე აღარ [illegible] არაფერი იქე[illegible] ყველაფერი იშლება. [illegible]სახელმწიფოს კონცერტს [illegible]ლე—რუსეთი, გერმანია და [illegible]უნგრეთი გამოეცალა. ფაქ-

[illegible] თეორეტიული მუძაობა დასჭირდებოდა, რომელიც შეიძლება ბოლოს სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს ახალ და მოულოდნელი ცვლილების გამო.

ასეთ პირობებში დიდათ საეჭვოა, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქმნას ნამდვილი საერთაშორისო კონფერენცია და მან რეალურ რეზულტატებს მიაღწიოს. ჯერ კიდევ ბრძოლა გრძელდება არა მარტო საქართვე[illegible]ლოსა და სომხეთის საზღვარზე, [illegible]მედ სხვაგანაც დედამიწის ზურ[illegible] ხოლო როცა იმპერიალისტური [illegible] რევოლუციური ომები მართლაც [illegible]თავრდება, მაშინ შეიძლება სა[illegible] აღარ იქმნეს ტრადიციული ევრო[illegible]ლი კონფერენცია. დღეს ჩვენმა [illegible]პუბლიკამ, რასაკვირველია, ანგა[illegible] უნდა გაუწიოს და შეძლებისამები[illegible] მოიყენოს კიდევ საგარეო ძა[illegible] მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა [illegible]ვივიწყოთ, რომ მთავარი ფაქ[illegible] რომელიც ჩვენს ბედისწერას სა[illegible]რავს, არის არა საერთაშორისო ნ[illegible]ყოფა, არამედ ჩვენი საკუთარი ე[illegible]ნული ენერგიაა.

ნუ ბარი. ამ ორ ნაწილს- მთას—საზღვრად უდევს ქის ქედი. იგი იწყობა ნ, ადის ახტალა-ალავერდ- ვლის სანაინ-უზუნლარის ევარზე, გაივლის რუსულ ვოლნიზე, აქედან ლოქის მაშავერის ხეობაში და ბა ჯავახეთის მაღლობებს. მხრეთის კალთებზე იწყო- ოლო ჩრდილოეთის კალ- ჩალო. ამ ქედისა და ლო- რების სამხრეთით მიდის ი, ბეზობდალისა, ხოლო ესამე ქედი, ბამბაკისა. ეს ვარად უდგას და ჰკეტავს ებს.

ყებამდე სომხებს ეჭირათ ბამბაკისა და ბეზობდა- აგრეთვე მცირე ნაწილი ნდვრებისა, მდინარე ყარა- კამენკას მარჯვენა ნაპირი. ა მათ მხარეზე იყო. მათ ილო ფერდობები ბეზობ- საზღვარზე მშვენივრად ი ბაზები ჯელალ-ოღლი, არაქლისი, რომელნიც დი- ომზადა რუსეთმა ოსმა- მრად. მაგრამ მათი უმ- რატესობა მათს მომზადე- ს მოუმზადებლობაში იყო. , რადგან ჩვენ ზედ საზღ- ქონდა ყაზარმები, ამი- ჯარის ერთი ნაწილი იძუ- ჩამძვრალიყო სანაინის ოლო მეორე ნაწილი და- ო საზღვრის აქეთ 20-25 ვორონცოვკასა და პრი- როგორც სჩანს, ჩვენ ენკაზე დარაჯებიც არა ოლოდ ამით აიხსნება ის რომ ჯელალ-ოღლიდან -ბისა 13 ქრის- [illegible]

ლიაარე დე- ეთით და სამხრეთით ხლოს. მეორე ნაწილი სანაინის ხეობიდან ავი- ში, გაიარა ლელვარის იველ ხოჯორნიდან და- ს ვილზე დასავლეთი- ტრი ჯელალ-ოღლიდან ავიდა ჰაიდარბეგ-პრი- ადმოვიდა ლოქის მთას, ლ ალქიორფზე და ოფ- ის გზით, ერთი მხრით ხოჯორნი-სადახლოზე, მხრით ქართულ სო- ჩავიდა შულავერში. ამ ის მარჯვენა ფრთა და გზით წამოვიდნენ, შუ- ოს მიდამოებში შე- გაშალეს ერთი ფრონტი ვერსი.

ვი მათი ჯარისა წამო- ელალ-ოღლიდან შოსეს ოვკა-დუმანისზე, ჩამოია- ხეობა და 19 დეკემბერს ნელთა ახალშენს ეკატე- სადაც იმავე დღეს ფიც- ჰქონდა ჩვენს სახალხო იგი ამ ბრძოლაში და- კი პირდაპირი გზა ვერ არ-თბილისზე, მოედო ხლებულ მიდამოებს და ით სცადა გადმოსვლა ეტხაჩინთან მეორე მო- რომელიც მანგლის-ალბუ- ოდის თბილისში. მაგ- ვერ გასჭრა. იგინი ენ ამ რაიონიდანაც და ნენ ძველ გზას.

ამე ჯგუფი, რომელიც უკიდებლად მოქმედებს, გუმბრიდან ჯავახეთში შემოიჭრა, მაგრამ სოფელ ტროიცკოესთან დამარცხდა და ისევ გადავიდა გუმბრის მაზრაში. ცნობა იყო, რომ ყაზახის სომხებმა გადმოლახეს ბორჩალოს საზღვრებშიო, მაგრამ ამ რაიონში, თუ არ ვცდებით, მხოლოდ მცირე პარტიზანული რაზმები უნდა მუშაობდნენ.

ჩვენი შეტევის გეგმა არავინ იცის და არც უნდა იცოდეს. მაგრამ რუკას რომ თვალი გადაავლოთ, იგი თითქო ცხადი ხდება დილეტანტისთვისაც. ჩვენ უნდა მოვუაროთ სომხების შემოჭრილ ჯარს ან ახალქალაქიდან გუმბრისკენ, ან ყაზახიდან კარაკლისისკენ, ორივე ოპერაცია ძალიან ძნელია, რადგან ამისთვის საჭიროა დიდი ჯარი. ახალქალაქზე გზა მეტად შორია. გარდა ამისა, ეს გზა მიებჯინება გუმბრის ციხეს, რომელიც თუმცა დაძველებულია, მაგრამ მაინც ციხეა. ზაფხულში ამ ოპერაციას ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, რადგან ზურგიდან მოექცეოდა ვორონცოვკას, მაგრამ შუა ზამთარში მეტად ძნელია გადალახვა ყარაღაჩის ქედისა, რომელიც 8—10000 ფუტს აღწევს. ყაზახის გზით ერთიორის დაკვრით გადაწყდება ომის ბედი. თუ ჩვენმა ჯარმა ამ გზით გადალახა კარავანსარაის ქედი, სომხების ჯარებმა უბრძოლველად უნდა დასცალონ ბორჩალოც და ბეზობდალბამბაკიც, რათა თავი დააღწიონ ხაფანგს. მაგრამ ამ ოპერაციას ორი მიზეზი აფერხებს: პირველი მიზეზი ის არის, რომ ყაზახი ადერბეიჯანის ტერიტორიად ითვლება. თუმცა ამ ზღუდის გადალახვა ადვილად შეიძლება შეთანხმებით, მაგრამ მეორე მიზეზი უფრო სერიოზულია: მეტად სახიფათოა შორეული მოვლა იმ დროს, როცა მტერი ჩვენს დედაქალაქს 60 ვერსზე მოადგა. ჯარის დაბანდებას ასეთ დროს ადვილად შეიძლება მოჰყვეს გაუსწორებელი კატასტროფა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი პოლიტიკური ვითარების გამო ამ ოპერაციისთვის საჭირო დრო არა გვაქვს. ბრძოლის ბედი მალე უნდა გამოირკვეს, რაიც ხელ-ფეხს გვიკრავს და მოგებული ომის ნაყოფის დაკარგვას გვიქადის.

ამრიგად, ბრძოლის ველი განსაზღვრულია ბორჩალოს მაზრით, ხოლო მიმართულებანი ჩვენი და მტრის საოპერაციო მოქმედებისა აღნიშნულია იმ გზებით, რომელნიც სერავენ ამ მაზრას. ამ გზების შესახებ ზევით მოგახსენეთ. რა გზითაც შემოიჭრა მტერი ბორჩალოში, იმავე გზებით უნდა განიდევნოს, ესე იგი: 1) სადახლო-სანაინის ხეობა, რომელსაც მეორე დამხმარე გზაც აქვს: სადახლო—ხოჯორნი ალავერდი—სანაინის ხეობა; 2) შულავერი- ოფრეთი—ალქიორფი —პრივოლნოე—ჯელალ-ოღლი; 3) ეკატერინენფელდი — დმანისი—ვორონცოვკა და ჯელალ-ოღლი, ხოლო აქედან და სანაინიდან შაგალი-გერგერზე ეს გზები მიადგება ყარაქლისს, რომელიც გასაღებია ბეზობდალ-ბამბაკისა, უმთავრესი ბაზაა სომხეთის ლაშქრისა, და სადაც დაბანაკებულია სომხეთა ჯარის მთავარი შტაბი. ჩვენი ჯარი ამ გზებზე იკრიბება. ის უპირატესობა, რომელიც სომხებმა მოიპოვეს ჩუმი მომზადებით და მოულოდნელი თავდასხმით ქართველმა ლაშქარმა მტერს კიდეც გამოსტაცა და ინიციატივა ხელთ იგდო.

ჩვენი მარცხენა ჯგუფი გენ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით 27 და 28 დეკემბერს მიაწვა შულავერს და ორი მნიშვნელოვანი მაღლობი დაიჭირა, როგორც სჩანს, ერთი რაზმი სოფ. არახლუდან გადასულა მდ. ხრამს და ჩრდილოეთით მისდგომია შულავერს, ხოლო მეორე რაზმი სად. აშაღა-სარალიდან—აღმოსავლეთით. მესამე რაზმი სამხრეთით იცავდა ორს ზემოხსენებულ რაზმს სადახლოს მხრივ. ამ რაზმმა 29 დეკემბერს უკუაგდო სომეხთა სადახლოს რაზმი, აიღო სოფ. იუხარი-სარალი და ამით ზურგი გაუმაგრა შულავერის რაზმს, რომელიც ამავე დღეს სამი მხრით მიადგა ამ ქალაქს და იმავე დღეს იერიშით აიღო იგი.

დაწვრილებით ამ ოპერაციის ამბავს მკითხველი გაზეთში ამოიკითხავს, ხოლო ჩვენთვის ფრიად საინტერესოა შედეგი ამ ბრწყინვალე გამარჯვებისა. თუ მტერი მძლავრად არის დამარცხებული, თუ ჩვენ ფეხდაფეხ ვდიეთ მას, ფეხი არ გავამაგრებინეთ ლელვარ-ოლქის ქედზე და მივაღწიეთ სოფ. პრივოლნოეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ომი უკვე მოგებულია, რადგან სომხეთა ცენტრი გარღვეული იქნება და პრივოლნოეზე გასული ჩვენი ჯარი ადვილად მოუჭრის გზებს სომხეთა ლაშქრის მარჯვენა ფრთას უზუნლარ-სანაინთან ან კალაგერანთან, ხოლო მა[illegible]ენა ფრთას--ვორონცოვკა-ჯელალ[illegible]თან.

შემცდარი უნდა იყოს [illegible] ვითომ სომხეთა მთავარი ძ[illegible] ვერში ყოფილიყო. იგი [illegible] ხეობაში უნდა იდგეს, მაგრა[illegible] რის ოპერაცია შეიძლება [illegible] თავრდეს, რომ სომხეთა მ[illegible] ძალამ უბრძოლველად დაიწიოს [illegible] ძველ საზღვრებამდის.

ასე იქნება თუ ისე, ჩვენ ვძლიეთ მტერს და დავირეკეთ [illegible] ნახევარი ხიფათისა უკვე ასცდა [illegible] ქართველოს; მისი მამაცი ლაშქა[illegible] თუ მესამედ ხელ-ფეხი არ შეგვიკრ[illegible] ერთ თვეში მიაღწევს ჩვენს ისტო[illegible]რიულ საზღვარს და ბამბაკ-ჯაჯურის მწვერვალებზე ააფრიალებს რესპუბლიკის სამფეროვან დროშას.

მ. [illegible]

—

საქართველოს რ[illegible] ქის მთავარ შტაბ[illegible]

ჩვენი ჯარის გამა[illegible]

29 ქრისტეშ. საქართველო[illegible] ლიკის მთავარ-შტაბის ცნობ[illegible] დელი დღის განმავლობაში ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა შულავერის რაიონში ჩამოაგდო მტერი ორ ფრიად მნიშვნელოვან მაღლობიდან. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

დღეს, 29 ქრისტ., დილით ადრე, ჩვენმა ჯარმა სოფელი იუხარი-სარალი იერიშით დაიჭირა. მასთან ერთად ხელთ იგდო 2 სრულიად გაუფუჭებელი საველე ზარბაზანი, 2 ყუთი ყუმბარებით და 2 ტყვიის-მფრქვეველი. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 2 აფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი. ბრძოლის ადგილი მტრის გვამებითაა დაფარული. ჩვენი ზარალი ამ მამაცურ შეტევაში მეტად მცირეა.

იუხარი-სარაილისთან დამარცხებულ მტერს ჩვენი ჯარი სდევნის.

30 ქრისტეშობისთვე.

გუშინ შუადღისას შულავერის გარშემო მაღლობების დაჭერის შემდეგ ჩვენმა ჯარმა აიღო შულავერი. მცხოვრებლებმა დეპუტაცია გამოგზავნეს და პატიებას ითხოვდნენ. მტერი ბრძოლით იხევს სამხრეთისკენ. ჩვენი ჯარები სდევნიდენ გაქცეულ მტერს, რომელიც დიდათ დაზარალდა უმთავრესად მოკლულების რიცხვით. აქამდე ჩაწერილ ტყვეთა რიცხვი არის 7 ოფიცერი და 106 ჯარისკაცი.

გუშინდელ დღის განმავლობაში ხელში ჩაგვივარდა 4 ზარბაზანი, 15 ტყვიისმფრქვეველი რამოდენიმე საარტილერიო საწყობი საზიდრები და საომარი მასალა.

დღეს ბრძოლა სწარმოებს ეკატერინენფელდის სამხრეთით.

—

უკანასკნელად მოსული ცნობებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით აიღეს სადახლო და მის იქით კიდევ ორი სოფელი.

—

ვორონცოვკას მიმართულებით წინ წავიწიეთ 20 ვერსით.

მავნე პირთა შეპყრობა

სიღნაღისა და თელავის მაზრაში აგიტაციისათვის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაიჭირა და თბილისში გამოგზავნა: 1) ვ. მამიკონიანცი, 2) გ. კარაპეტიანცი, 3) ა. მახარობლიშვილი, 4) გ. მინასიაცი, 5) ა. მინასიანცი და 6) გ. ნესტოიანცი.

—

სომეხთა აგიტაცია

როგორც გენერალ - გუბერნატორის ცნობებიდან სჩანს რკინის გზებზე და თბილისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლებში სომხების აგენტები აგიტაციას ეწევიან, „ჯარში ნუ წახვალთო". საჭიროა მეტი ყურადღება ადგილობრივ ადმინისტრაციებისა.

—

დაპატიმრებულნი

თბილისის სისხლის მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს: საქ. პარლამენტის წევრი და ქალაქის საბჭოს წევრი 1) ბაგრატ მიკირტუმიანი; 2) მეხუთე ქართული მსროლელი პოლკის ჯარისკაცი ივანე დადუვაძე, სამხედრო მოქმედების შესახებ ცრუ ხმების გავრცელების გამო, 3) კონსტ. სალაძე; 4) მილიციონერების გრ. ჩოპუნია, 5) ნ. ქურხული, ტუსაღის გაშვებისთვის, 6) ივანე გრეჩკოვი, 7) მ. ასლამაზაშვილი და 8) ბაგ. ხარატუნოვი; სამივეს ბრალდება საქონლის მიწოდელ კომიტეტის ცენტრალურ საწყობიდან საქონლის მოპარვა.

—

დეპეშა მთავ. სახელზე

(ქუთაისის გუბერნიის კომისრისაგან)

„მაქვს პატივი გაცნობოთ ქუთაისის გუბერნიის საქალაქო და საერობო თვითმართველობათა წარმომადგენელთა საერთო ყრილობის დადგენილება: ქუთაისის გუბერნიის ქალაქების და [illegible]მაზრო ერობათა გამგეობების წარ[illegible]დგენლების ყრილობა მიესალმება [illegible]ლოს დემოკრატიულ რესპუბ[illegible]რობას. ქალაქების და ერო[illegible]რთველობები ამ ისტო[illegible] როდესაც ჩვენ თა[illegible] დემოკრატიულ [illegible]ქეყანას მოელის [illegible]ოკრატიისა- [illegible]ალიერობათა [illegible]ლონით, [illegible] ხების მთავრობასთან საზღვრების გამიჯვნის საკითხის წამოყენების დროიდან. ჩვენი მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ უცხო სახელმწიფო, რა გინდ მძლავრი იყოს იგი, ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეში. ამას მოითხოვს და მზად არის მთელი თავის არსებით დაიცვას ქუთაისის გუბერნიის ყველა მცხოვრებლები, როგორც ერთი ადამიანი, რასაც ჩვენ, ხალხის წარმომადგენელნი, ვრცელი დემოკრატიული პრინციპების საფუძველით არჩეულნი ვამოწმებთ და დავსძენთ, რომ ის, რაც მოგვიპოვებია მრავალ წლოვანი და სასტიკი ბრძოლით, რისთვისაც შევიწირია ჩვენი საუკეთესო ძალები, მას არ დავთმობთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

ყრილობის თავმჯდომარე—ქუთაისის ქალაქის თავი კალანდარიშვილი, ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის ხადგილე გრიგოლ სოლორაშვილი, ხონის ქალაქის თავი ივანე ჭავჭანიძე, ოზურგეთის ქალაქის თავი მურვანიძე, შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე გოგიაშვილი, ლეჩხუმის მაზრის ერობის წარმომადგენელი ყიფიანი, ფოთის ქალაქის გამგეობის წევრი მ. ესაკია, სამტრედიის ქალაქის გამგეობის წევრი ა. კ. ახობაძე, ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი კვირკელია, რაჭის მაზრის მაზრის ერობის წარმომადგენელი ტიტე გოცირიძე, ლანჩხუთის ქალაქის თავი ლ. კვიტაიშვილი, სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი აკაკი ფიჩხაია.

—

ხონიდან. ხონის რაიონის სოციალდემოკრატიული კონფერენცია ითვალისწინებს დღევანდელ მდგომარეობას, შექმნილს სომხის ავანტიურისტების მიერ, სამართლიანად სცნობს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. სალამს უძღვნის მამაც ჯარს, და მზადაა ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას. კრების თავმჯდომარე.

კიტა აბაშიძის საფლავზე

კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს კიტა აბაშიძის გარდაცვალების წლის თავზე ქართველ მოღვაწეთა პანთეონზე თავი შეიყარეს მწერლებმა, პოეტებმა, პარლამენტის წევრებმა და განსვენებულის პატივისმცემლებმა.

პანაშვიდს დაესწრენ აგრეთვე სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, გ. ლასხიშვილი, შ. მესხიშვილი და ივ. ლორთქიფანიძე. პანაშვიდის შემდეგ საფლავზე სოც.-ფედ. სახელით სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტის წევრმა ალ. წერეთელმა.

გ. ჯამალიანი გ. ანდრანიკის შესახებ

ასლი სომხეთის რწმუნებულის ჯამალიანის მიწერილობისა ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელისადმი 1918 წ. 17 მარიამობისთვის თარიღით № 401.

მივიღე თქვენი მიწერილობა 15 მარიამობისთვის რიცხვით № 461, რომელიც ეხებოდა ანდრანიკის ადერბეიჯანის საზღვრებში შეჭრას და გადავეცი ჩემს მთავრობას. ჩემის მხრით პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ მის შემდეგ რაც ანდრანიკმა და მისმა რაზმა არ იცნო სომხეთის მთავრობა და თანამდებობის პირნი, როგორც ანდრანიკი, ისე რაზმი. განსაკუთრებით ბრძანებით სომხეთის კორპუსის რაზმში გამორიცხულია სომხეთის ჯარების შემადგენლობიდან,

ამ რიგად გენ. ანდრანიკს და მის რაზმს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც სომხეთის ეროვნულ ჯარებთან და არც სომხეთის მთავრობასთან და მაშასადამე სომხეთის მთავრობა ანდრანიკის უპასუხისმგებლო მოქმედებაში არავითარ შემთხვევაში პასუხს არ აგებს.

სომხეთის საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკის წინაშე **ჯამალიანი.**

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

ფრანგული პრესა. 28 ქრისტ.

ფრანგულ-სირიული კონგრესი

მომავალი წლის 3 იანვარს მარსელში გაიხსნება ფრანგულ-სირიული კონგრესი, რომელსაც მარსელის სავაჭრო პალატა აწყობს, კონგრესის თავმჯდომარე ფრანკლინ ბულონი იქნება. მარსელის, ლიონის და პარიზის ყველა თვალსაჩინო კომერსანტი და მრეწველნი მიიღებენ მონაწილეობას და იმუშავებენ შემდეგ 4 სექციაში: 1) ეკონომიური იმპორტი, ექსპორტი, საზოგადო საქმეები, მიწათ-მოქმედება, ტყის მრეწველობა და სამთო საქმეები. 2) ისტორიის, არხეოლოგიის და გეოგრაფიისა, სწავლა განათლების. 4) სამკურნალო და საზოგადო ჰიგიენის, არქეოლოგიური სექცია იმუშავებს ბაბ[illegible]ლონის თავმჯდომარეობით. კონგ[illegible] 5 იანვარს დასრულდება დიდი [illegible]ხო სხდომით, რომლის დრო[illegible] პარაკებენ: ლიონის სენატ[illegible]ოტი, ყოფილი მინის[illegible] დუმერგი და სირიი[illegible]ეტი გეკრი გან[illegible] პოემის „ანდრ[illegible] მარტავს.

[illegible]ნიფესტაციები სლოვენიაში.

[illegible]დან გაზეთ „ტანს" აუწყებენ, [illegible] ბატონობისგან განთა[illegible]ვენიაში დიდი მა[illegible]მართა ჩეხო-სლო[illegible] პატივსაცემად. [illegible]ხო კრებამ ერთ[illegible]უცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: ჩვენ გვსურს თავისუფლად ვიცხოვროთ ჩეხო-სლოვაკთა სახელმწიფოში. ჩვენ საუკუნოდ გავწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი მადიარებთან, რომ შევუერთდეთ ჩვენ უფროს ძმებს, ჩეხებს. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მადიართა ჯარის წინააღმდეგ, რომელიც მხეცურად ეპყრობოდა სლოვაკებს. ჩვენ პროტესტს უცხადებთ ეგრედ წოდებულ ნაციონალურ კომიტეტს, რომელიც დაარსებულია ბუდაპეშტის მთავრობის მიერ იმიტომ, რომ წვალოს დანარჩენი ერები. დასასრულ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ ფაქტის გამო, რომ სლოვაკელ ჯარისკაცებს მადიარები ძალით იმსახურებენ და ფიცს ადებინებენ. ჩვენ ვცნობთ მხოლოდ პრაგის და პარიზის მთავრობას. სხვა მთავრობა ჩვენთვის არ არსებობს.

საფრანგეთის ზარალი ომში.

ხუთშაბათს ამხედრო პენსიების შესახებ კამათის დროს სამხედრო უწყების მდივნის თანაშემწემ გამოაქვეყნა ცნობები იმის განმავლობაში საფრანგეთის საერთო ზარალის შესახებ. 1918 წლის 1 ნოემბრისთვის მოკლულთა, უგზოუკვლოთ დაკარგულთა და ტყვეთ წაყვანილთა საერთო რიცხვი იყო 42,600 ოფიცერი, 1,789,000 ჯარისკაცი აქედან მოკლულია 31,300 ოფიცერი და 1,040,000 ჯარისკაცი. უგზოუკლოთ დაკარგულია 3000 აფიცერი და 311,000 ჯარისკაცი, ტყვეთ წაყვანილია 8300 აფიცერი 428,000 ჯარისკაცი.

ფრანგული პრესა

ბელგიის მცხოვრებლებმა სიხარულით მიიღო საფრანგეთის 32 დივიზია, რომელიც საფრანგეთმა ბელგიის განთავისუფლებისთვის გაგზავნა. ქალაქში ჯარის გავლის დროს მცხოვრებლები ზეიმით შეხვდენ მას და შემოსძახოდნენ: „გაუმარჯოს საფრანგეთის ჯარს". ქალაქი მოკავშირეთა და საფრანგეთის ბაირაღებით იყო მორთული. ფრანგი გენერლები და ოფიცრები მიღებულ იქნენ ქალაქის სახლში. სადაც ბურგომისტრმა უთხრა კეთილ იყოს თქვენი მობრძანება. გავიდა უკვე ოთხი წელი და ამ ხნის განმავლობაში ქალაქის შენობა შეურაცხყოფილი იყო გერმანელ გენერლებისაგან. დღეს „სთქვა მან მე ბედნიერი ვარ, რომ აქ მივიდე საფრანგეთის გენერლები, რომელნიც ძმურად ხელს გვიწვდიან; ჩვენ სიხარულით ვაძლევთ ხელს მათ, ვინც გმირულად იცავდა სამშობლოს. გავიხსენოთ 1914 წ. პუანკარეს დაპირება, რომ ყოველივე ღონეს ვიხმართ, ბელგიის ტერიტორიის განსათავისუფლებლად. ეს დაპირება პირნათლად იქმნა შესრულებული, ვის წინაშეც ბელგია მ[illegible]ლეა მისი მომავალ არსებო[illegible] ჩუნებისთვის. გრძნობ[illegible]რულს და მათ[illegible] ველთვის[illegible] გაუმ[illegible]

[illegible] ყოფნის [illegible] დანიშვნლატეს [illegible] სამშრომელს: „მე ილი[illegible] ვქნილი, ჩემ მომავალ დიდ [illegible]ვარკოლებების შესახებ ახალ თანამდებობაზე, მაგრამ მწამს გერმანიის ხალხის მომავალი და სწორედ ეს მიმტკიცებს ძალას და იმედს. პირველი უმნიშვნელოვანესი მიზანია სამართლიან ზავის ჩამოგდება. ამის საძირკველი უკვე არის ვილსონის 14 პუნქტის სახით, რომელშიაც ამერიკის პრეზიდენტმა 1918 წ. 6 იანვარის გამოხატა თავისი საზავო პირობები და შემდეგ გამოქვეყნებულ დეკლარაციებში. ეს პირობები [illegible] მიიღო 5 ოქტომბერს [illegible] თავის წინადადების აქტით; უკანასკნელი მიღებული იყო 5 ნოემბერს შეერთებულ შტატების და აგრეთვე შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ 2 განსხვავებით (ნავთსადგურების თავისუფლების და ზარალის ანაზღაურების მცნების სხვა და სხვანაირად განმარტება) თუ შევსძლებით სამართლიან ზავის შეკვრა, გერმანიის ხალხის უმრავლესობა, რომელმაც თავის ბედი თავის ხელში აიღო, მე გამომყვება.

ოსკარ კონის განმარტება იოფეს დეპეშაზე.

სახელმწიფო იუსტიციის სტატს სეკრეტარის თანაშემწე დ-რ ოსკარ კონი, რომელიც ამ ხანათ დაბრუნდა კოვნიდან ბერლინში სხვათა შორის იძლევა განმარტებას რუსეთის ელჩის იოფეს რადიო დეპეშაზე:

ამხანაგ იოფემ მომცა მე ფული ღამით 5 ნოემბერს 1918 წელს ამ ფულებს იმ ფულებით რომელიც მისი წინანდელი ჩვენებით იარაღის საყიდლათ იყო გადადებული არაფერი საერთო არა აქვს. მე ეს ფულები დანიშნულებისამებრ გავგზავნე სახელდობრ რევოლიუციონურ იდეების გასავრცელებლათ, და ვწუხვარ, რომ შექმნილ მდგომარეობის დროს მე საშუალება არ მქონდა მთელი თანხა დამეხარჯა აქამდე იმედი მაქვს მალე მოვა დრო, როდესაც მე შეძლება მექნება ჩავაბარო ამ ფულის ანგარიში რუსეთის პარტიულ ამხანაგებს ამხანაგ იოფეს მე მინდა ერთს შეცდომაზე მიუთითო: არა ოთხი მილიონი მანეთი არამედ ოთხ მილიონამდე დასტოვა ჩემს განკარგულებაში გერმანიის რევოლიუციის მიზნებისათვის სამწუხაროთ ბანკმა არ მომცა მე ეს ფულები, რადგან ეჭვი შეიტანა ჩემს რწმუნებულებაში და მასთან ერთად არ მომცეს ის დანარჩენი მილიონები, რომელიც მე უნდა დამეხარჯა რუს სამხედრო ტყვეებზე და გაჭირვებულ მოქალაქეებზე. ამის შესახებ მე უკვე წინად ვაცნობე საბჭოთა მთავრობას. ის ფული, რომელიც მე გადმომცა ამხანაგმა იოფემ რუსეთის ქვეშევრდომთა დასახმარებლად (350,000 მარკა და 50,000 მანეთი) მე დანიშნულებისამებრ დავხარჯე.

ბანატის ო[illegible]

სალონიკიდან იუ[illegible] და რუმინიის ჯარე[illegible] არ შეეხებიან ბანა[illegible]რის ოლქში, სად[illegible] რეულნი არიან. [illegible] რომ ტემეშვარ-ვ[illegible] აღმოსავლეთით [illegible] მდებარე ხაზ[illegible] საფრანგეთის ჯარი ჩადგეს.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. 26 ქრისტეშ. (ჩრ[illegible]თის ასპარეზი. (ც. ა. კ. [illegible] ბიულ.) სამხედრო ცნო[illegible]მართულებით ჩვენ[illegible] მოსავლეთით [illegible] ნოვის მ[illegible] დაიჭ[illegible] ლეთ[illegible] სვლას [illegible] ლით [illegible] და სოფ[illegible] გზასთან [illegible] ვიჭირეთ [illegible] და ტუ[illegible]ეთ. ბირის რაიონში [illegible]სარე ბელასთან პეჩენკორო დავიჭირეთ. ხარაპულის რაიონში სადგურ ჩერნუშკისთან და ხარაპულ-კრასნოუფიმის რკინის გზის ხაზზე მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ [illegible]ვაგდეთ. პერმის რაიონში [illegible] სავლეთით, ჩაინ[illegible] შეიძ[illegible]

[illegible] ნებით შე[illegible]ლი ბეგარა წითელ სასარგებლოთ: სულზე 20 [illegible]ვანქა პური და ორ-ორი ფუთი თივა და ნამჯა.

გერმანული პრესის ცნობა

26 ქრისტეშ.

ჩეხელთა შესევა გერმანიაში.

ჩეხები განაგრძობენ ზემო ჰუნგრეთის ტერიტორიაზე შესევას და მიჰყავთ ტყვეები. პრესბურგიდას 150 კაცი წაიყვანეს. წაყვანილთა შორის არის რეიხსტაგი დეპუტატი არპად ვაგიონი და მრავალი ვაჭარი. მათ გააყოლეს დარაჯები და გაგზავნეს ბრუმში. ნაწილი კი შპილბერგის ციხეში.

ახალი საზოგადოება ბერლინში.

ბერლინში სამრეწველო და საუნივერსიტეტო წრეებმა 30 მილიონ მარკის თანხით დაარსეს საზოგადოება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც მიზნად აქვს ხელი შეუწყოს ქიმიის სწავლებას უნივერსიტეტში და მკვლევართ ფულით დაეხმაროს.

ფრანგული პრესა 27 ქრისტ.

მოკავშირეთა პროექტები.

ოთხშაბათს ყველა მოკავშირეთა პარლამენტის წევრების საუზმეზე შეიკრიბნენ ყველა დეპუტატები და სენატორები, რომლებმაც მიიღეს ტაკიონესკუ და ჩეხო-სლოვაკთა გარეშე საქმეთა მინისტრი ბენე. მსჯელობა გაიმართა მოკავშირეთა სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ. წარმოადგინეს პროგრამა მოკავშირეთა რკინის გზის გასაყვანად, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოუსპოს გერმანელებს ბალკანეთში ჩამოსვლის საშუალება. ამ პროექტს მიზნად აქვს, შეაერთოს ფრანგების ატლანტიის ოკეანეს ნავთსადგურები შავ-ზღვასთან ისე, რომ გზა არ გადიოდეს მტრის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ წარმოადგინეს ამისდაგვარი პროექტები. დეპუტატები ამტკიცებდნენ, რომ ეს პროექტები სასარგებლოა პოლიტიკური და ეკონომიური მხრით, როგორც საფრანგეთისათვის, ისე სხვა მის მოკავშირე სახელმწიფოსთვის.

დაითხოვეს ოსმალეთის პარლამენტი.

„პტი-პარიზიენის" კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: კვირას, საღამოს 5 ს., შინაგან საქმეთა მინისტრი ავიდა ტრიბუნაზე და წაიკითხა ირადე პარლამენტის გაუქმების შესახებ. ამ აქტის წინ გარეშე საქმეთა მინისტრმა წაიკითხა დიდი დეკლარაცია, ოპოზიციის დეპუტატების შეკითხვის საპასუხოთ. მინისტრის სიტყვა საყურადღებოა. მან ომის ისტორიული მიმოხილვა წარადგინა და აღნიშნა, რომ ოსმალეთი ძალით ჩაურიეს ომში. ომში ჩარევა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა და მიზანი მხოლოდ ზოგიერთ პიროვნების თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. უნიონისტების ორგანო კმაყოფილებას გამოსთქვამს პარლამენტის დათხოვნის გამო: „აღმოსავლეთის მონიტორი" სწერს: სამარცხვინო იქნებოდა, რომ ის დეპუტატები, რომელნიც ამორჩეული იყვნენ ენვერ-ფაშას დროს და მისი სურვილის თანახმად, ეხლაც იყვნენ პარლამენტის წევრებად, როცა მათ ბატონებს, როგორც სამშობლოს მოღალატედ, სდევნიან და „ბატონებიც" იმალებიან.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

საბჭოს კომისრების დასჯა.

„ოდ. ნოვ." ეკატერინოსლავიდან იუწყება, რომ პოლკ. შკურომ ჩრდილო-კავკასიაში საბჭოს მთავრობის 80 კომისარი დახვრიტა.

სურსათის კრიზისი მოსკოვში

მოსკოვში სურსათის საქმე უარესდება. უკანასკნელ დროს მოსკოვის მოსახლეობა უმთავრესად კარტოფილით იკვებებოდა, რომელიც ბარათებით ეძლეოდა და ფუთი 80 მ. ჰღირდა. ბაზარზე 1 გირვანქა შავი პური ღირს 15 მ., თეთრი პური 25 მ., შაქარი 45 მ., შვეიცრული ყველი 120 მ., ერბო 125 მ., ხორცი 30 მ., თევზი 15—25 მ., შავი ფქვილი 1 ფუთი 450 მ., ხორბლის ფქვილი 600—700 მ. და ზოგჯერ 1000 მ. იყიდებოდა.

ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არც პეტროგრადია.

ხმები შვეციის მეფის გადადგომაზე.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ იქ პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავებულა. პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან, რომ კრიზისი გადასწყდება მეფე გუსტავის ტახტიდან გადადგომით, რასაც სულ მოკლე ხანში ელიან. შვეცია რესპუბლიკად გამოცხადდება.

თბილისის ვაჭ.-რეწ. პალატა და მომავალი პალატის არჩევნები

ამ მოკლე ხანში განზრახულია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის დაარსება და მისი არჩევნებიც. საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისათვის ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველი ბურჟუაზია ეხლოდ ეხლა იკვლევს გზას და მისი ფორმაცია ხდება იმ დროში, როდესაც ეს კლასი საერთო შევიწროებას განიცდის. საქართველოში, სადაც მრავალ გარემოებათა გამო სახელმწიფოს სათავეში მოქცეულია პროლეტარული კლასი, ბურჟუაზიული მიმდინარეობანი მოკლებულნი არიან განვითარების იმ პირობათ, რომელნიც უზრუნველყოფდნენ მის ძლიერებას.

ერი ქონებრივად სუსტი და ღარიბი ვერ იქნება შეუდრეკელი დამცველი თავის უფლებებისა. ეს მოსაზრება თვით სოციალისტებისთვისაც მარტივი გახდა და პროლეტარული სოციალ-დემოკრატიაც ბურჟუაზიის გაძლიერებაზე ლაპარაკობს.

მაგრამ ეს შეგნება, ყველაზედ უფრო, თვით ბურჟუაზიულ წრეებს მართებთ.

ჩვენ სახელმწიფოში ეს კლასი ნაკლებ უფლებებით არის აღჭურვილი და მძაფრი ბრძოლა უხდება ამ უფლებათა მოპოებისათვის; ამ ბრძოლაში კი ის უსათუოდ დამარცხებული გამოვა თუ ერთიანობის ინტერესებით არ განიმსჭვალა და მტკიცედ შეკავშირებული არ გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზედ.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზანია მათი გაერთიანება წარმომადგენლობისა და საერთო ინტერესების დაცვისათვის და ამიტომ უნდა იყოს იგი განსაკუთრებული ინტერესით მიღებული ბურჟუაზიული წრეების მიერ. ამ დაწესებულებამ უნდა შეაკავშიროს ამ კლასის გაბნეული ელემენტები და ერთ დროშის ქვეშ დარაზმოს. ეს დროშა არის ქართული ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება და გაძლიერება.

ჩვენდა სამწუხაროთ, ამ დიდათ მნიშვნელოვანი დაწესებულების საკითხი ვერ იქნა გატანილი ჩვენს საზოგადოებაში სათანადო ინტერესით, და რის გამოც ქართველი ვაჭარ-მრეწველნი არ არიან მასთან საკმაოდ გაცნობილი და ვერც ჯეროვანათ შეუფასებიათ მისი მნიშვნელობა.

ამაში ჩვენის აზრით თბ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირსაც უდევს ბრალი. ეს დაწესებულება აქამდე ამ პალატის სუროგატი იყო და მის ფუნქციებს ასრულებდა; და ამიტომ დაეკისრა მას ამ პალატის ორგანიზაციაც. ვაჭარ-მრეწველთა პალატა უმთავრესი ორგანო უნდა იქნეს ქართული ვაჭარ-მრეწველობისა და მისი რეგულიატორი. ამიტომ, ინიციატორთა ცდა უნდა ყოფილიყო ამ დაწესებულებით ინტერესი გამოეწვიათ რაც შეიძლება ფართო წრეებში.

მაგრამ ამ მიზნით ჯერ ცოტა რამ გაკეთდა.

ვაჭარ-მრეწველთა კავშირის უკანასკნელი დადგენილებით, პალატის წევრთა რიცხვი 200 კაცისაგან შემცირებულია 300-მდე. პალატის კომიტეტი, და ჯამაგირიანი პრეზიდიუმი წესდების ძალით უნდა შესდგეს შვიდი კაცისაგან; თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას რომ, პალატის ოცდა-ათ წევრთაგან ქ. თბილისი ირჩევს მარტო რვა წევრს ესე იგი საერთო რიცხვის თითქმის ერთს მესამედს, და პროვინციიდან უჯამაგიროთ ვერავინ შესძლებს კომიტეტის წევრობას, პალატა ფაქტიურად თბილისის ვაჭართა ხელში იქნება და ჩვენ შეგვრჩება მარტო. შვიდი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმ-კომიტეტი, უსათუოდ ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველებისაგან, და პროვინციაც სრულებით გარიყული იქნება საქმის წარმოებისაგან.

რა თქმა უნდა ეს გარემოება გაანელებს პროვინციის ინტერესსაც და პალატასაც გაუძნელდება თავის მოქმედებაში, მხოლოდ თბილისის ვაჭართა წრეებს დაეყრდნოს. ამის გარდა, თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის მიერ შექმნილი მდგომარეობა პალატის გამგებლობას აკუთვნებს მხოლოდ ეგრედ წოდებულ „მსხვილი კაპიტალის" წარმომადგენლებს და პალატის შემადგენლობიდან, თითქმის, ქართული იქნება ის წვრილი ბურჟუაზია რომელიც უმთავრესი საფუძველია ამ პალატისა და მისი მასაზრდოებელი.

ეს ორი გარემოება თავიდანვე ხიფათში აგდებს იმ დაწესებულებას რომლის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ეროვნული მრეწველობისათვის.

როდესაც რომელიმე პროფესიონალური კავშირის ფილიალური განყოფილების წევრთა რიცხვი 25-მდეა, ნუ თუ შესაძლებელია საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის უმაღლესი ორგანო პალატა მხოლოთ 30 კაცისაგან შესდგებოდეს? ეს ამ შემთხვევაში არ არის მარტო რიცხვის საკითხი, ეს არის საკითხი საქართველოს ყველა კუთხეების თანაბარი დაკმაყოფილებისა და ქართული ვაჭრობა-მრეწველობის ყველა ელემენტების. სამართლიანი წარმომადგენლობისა.

ქართული ვაჭრობა-მრეწველობა ამ ჟამად, უმთავრესათ წვრილი ბურჟუაზიული ხასიათისაა და, შეუძლებელია იზოლიაცია ამ წრისა, მით უმეტეს რომ პალატის მთელი ხარჯები მას აწვება და „მსხვილ კაპიტალის" უმცირესობას.

ამ საკითხების ჯეროვანი ყურადღების განხილვისათვის დრო ჯერაც არ არის გასული და კავშირის საბჭო მოვალეა ასეთი დიდ მნიშვნელოვან საკითხის საზოგადო კრებას, რომელსაც ერთად ერთს შეუძლია გამოსთქვას ავტორიტეტული აზრი და საბჭოც მოვალეა ანგარიში გაუწიოს მას.

დ. კალანდაძე.

გაკვრით საუბარი

ძნელია, ცხოვრება მასთან, რომელსაც შენი ან არავითარი სულიერი კავშირი არა აქვს, აქვს მხოლოდ შენი სარგებლობის, ან მოსპობის სურვილი. ძნელია უმაღლო ხალხთან ერთ მიწა-წყალზე ცხოვრება. ჩვენები აქაც გულკეთილობის ან განცდის ტრფიალებაში არიან ამას წინეთ სომეხ ქართველთა ურთიერთობაზე ჰსწერს ზ. გ. [illegible]ძე მანვე აღნიშნა სხვადასხვაობა ჩვენ შორის მორალის და სხვა მხარეების მხრითაც. თავის გერმანულ წერილში ჩვენი მეგობარი არტურ ლეისტი შეეხო სომხობას და მან პირდაპირ აღნიშნა მათი უმორალობა. მორალი ერთია და ეს მორალი თითქმის ერთნაირათ არის წარმოდგენილი ყველა უფრო გავრცელებულ სარწმუნოებებისაგან და მეცნიერებისაგან დადასტურებული—„გიყვარდეს მოყვასი, ნუ იქმ სხვისთვის რაც შენთვის არა გსურსო". ეს და ამ გვარი ზნეობრივი მცნებანი ყველა ცნობილ ერებს აქვთ საანბანო ჭეშმარიტებად. ამ გვარ მცნებას სომხობა მოკლებულია და მიკვირს, თუ შევეხებით სომხის მორალს, რაც უფრო კატეგორიულად, როგორც არტურ ლეისტი, არ ამტკიცებენ, რომ ეს ხალხი უმორალოა. ეს ამ ომის შემდეგ ხო მაინც დამტკიცდა. აი სწორეთ ამაშია ქართველების ტრაგიკული მდგომარეობა. ერთის მხრით ძმური მოპყრობა და სტუმართმოყვარეობა, მეორე მხრიდან ამ თვისებით უსინდისოდ სარგებლობა. გაშლილი სუფრა, სხვისი ნაამაგით სარგებლობა ძლიერ უყვარს სომეხს და ის ხარბად ეწაფება ამ სუფრას. სომხობა ჩვენში მეტად განებივრდა. ამ ოცი, ოცდაათი წლის წინედ არც ჰმალავდენ ამას და ხშირად მესმოდა პოტენტური ლაპარაკი ქართველობაზე. ეხლანდელი სომხები გაკულტურდენ, ამგვარად არ მსჯელობენ, სამაგიეროდ თვალი მაგრად უჭირავთ, ენა ტკბილობენ, მოხერხებულად თვალთმაქცობენ, ოსტატურად იჭრებიან ოჯახში, მერმე კი ოსტატურათ გვერეკებიან, ჩვენს მამაპაპეულს კერას გვეღავებიან. დროა ერმა გამოიღვიძოს.

ვემზადნეთ საზავო კონფერენციისთვის. სადაც მსოფლიოს შევჩივლებთ თუ რა გველი შემოგვპარვია სახლში და რა ზომები უნდა მივიღოთ სომხების ასალაგმავად მისი მოსპობა იარაღით ღმერთმა გვაშოროს. ამ ნაირი ნატვრა მხოლოდ ღვარძლიანი და გაღიზიანებული სომხების ნატვრა და ხელობაა. ქვეყანამ უნდა იცნოს ეს ერი მაწანწალა ერად, რომელსაც კაცობრიობასთან არა აქვს კავშირი შეიძლება ამან ჰკუა ასწავლოს და განაახლოს, მაგრამ განა შეიძლება ასე ადვილად განახლდეს ერი, რომელსაც არა აქვს მორალი, ან ჰგავს იმ ველური ხალხის წარმომადგენელს რომელიც ასე ამბობდა: „მე რომ წამართვენ ცოლს, ეს უკანონობაა და მე რომ წავართმევ სხვას, ეს კანონიერია". სიყვარულის მაგივრათ აქვს მხურვალე სურვილი მოსპოს სხვა, ფარულად სისხლით გაისვაროს ხელები და დასახლდეს მსხვერპლის ადგილზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სომხების ბუნება ადვილად არ გამოიცვლება. ყოველი ერი ცდილობს განავითაროს საზოგადო კაცობრიული თვისებები, მოსპოს ყოველი კარჩაკეტილობა. ის დევიზი, რომელიც სომხობას აქვს: „იქონიე სხვა ერთან საქმე იმდენად, რამდენადაც ერთმეოდეს სხვას და შენ გემატებოდესო", მხოლოდ სომხობას შეუქმნია. ამას ქადაგებდა და ქადაგობს მათში სამღვდელოება და ეს არის კატეხიზმო დაშნაკელებისა და ტყუილათ ფიქრობენ, რომ ეს არ არის ნაყოფი სომხის ხალხის გულის და სულისა. სომხის ერს განურჩევლად პარტიისა, წოდებისა, ასულდგმულებს ერთნაირათ უკულმართი ზრახვა უკულმართი მოქმედება სხვა ერის წინაშე.

ამისთვის მაგონდება ენეიდაში ვირგილიუსისგან ნათქვამი: „მეშინია დანაელების მაშინაც კი, როდესაც [illegible]ნი საჩუქრებით მოდიანო!". ალბად დაშნაკელები სომხებისებური ხა[illegible] ყოფილა და მხოლოდ დღეს მათი ახირებული სახელი და დარჩენილა. მე სომხების მტერი არა ვარ. მე მინდა მათთვის ის, რაც მათ არ სურს ქართველებისთვის. მე მინდა მათთვის ყოველი კარგი და ამ სურვილში ყველა ქართველები გაერთიანებული ვართ. ჩვენ ვუსურვებთ ამ ერს დაუბრუნდეს მას მისი სამშობლო სომხეთი. მაგრამ არა ნაკლები, პირიქით აღგზნებული სურვილია ჩემი: „საქართველო, ისედაც მრავალ ტანჯული განთავისუფლდეს ამ საარაკო ვერაგ ერისგან".

ე. ვაშაკიძე.

მცირე განმარტება

ამ წერილით მინდა განვმარტო თუ 17 ქრისტეშ. ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატთა კრებას რად დავესწარი. რად მივიღე მონაწილეობა საფინანსო კომისიაში. 16 ქრისტეშობისთვეს მივიღე მისაწვევი ბარათი, რითაც მიწვევდნენ სანაინის ამბების შესახებ. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა, გამეგო თუ რას იტყოდნენ საზოგადოდ და კერძოთ ჩვენზე! მე იმ აზრისა ვარ, რომ ამნაირი შემთხვევა უნდა გვეინტერესებოდეს. ბუტიაობა და ბოიკოტი კი ვნების მეტს არას მოგვიტანს! კრების თავმჯდომარემ ბ. ხანდამოვმა წაიკითხა ქალაქის თვითმართველობის რეზოლუცია, რომელიც სომხების სასარგებლოდ იყო გამოტანილი.

თავმჯდომარის განცხადების თანახმობით თვით ე. გეგეჭკორსაც მათთვის მიეცა ხმა, თავი შეიკავა მხოლოდ ბ. ვეშაპელმა რამაც გამაკვირვა დიდათ. რეზოლუცია მიიღეს და თავმჯდომარეს შევეკითხე: რახან ერთხმად მიიღეთ ჩაუმატეთ ამნაირი ტექსტით მაინც:„ პროტესტს უცხადებთ იმ მთავრობას, რომელმაც აღიმართა პირველად ხმალი მეზობელ ძმათა შორის სისხლის დასაღვრელად". მაგრამ თავმჯდომარემ არ ინება სრულიად ჩაწერა ეს სიტყვები დაკმაყოფილდა, „პროტესტით" და მორცხვათ წარმოსთქვა: „ცოტა დანაშაული ქართველებსაც მიუძღვით, ჯარისკაცებს ქალები გაუპატიურებიათ და მილიციონერების უკანონოთ რეკვიზიცია მოუხდენიათ და ამაზე კი გლეხები აჯანყებულან". ჩემს შეკითხვაზე:—განა მაგისთანა ადმინისტრატიულ უწესრიგობისთვის ომს აცხადებენ? და ან და რატომ ჩვენს მთავრობას არ მიმართეს პროტესტით თვით იმ აჯანყებულ გლეხებმა თქო? მთავრობას უნდა განეცხადებია და მიემართნა სასტიკის პროტესტით!

სამჯერ შევეკითხე ამ საგანზე თავმჯდომარესა პასუხი ვერ მივიღე და სდუმდა. უკანასკნელათ შევეკითხე: „ულტიმატუმი რაღა იყო?" და აქაც სიჩუმით მივიღე პასუხი! მე ისე განმაცვიფრა ამ უდიდესმა რეზოლიუციამ, რომ ინსტიქტიურად შევეკითხე თავმჯდომარეს:—ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა? „მიიღეს და თვით გეგეჭკორმაც კი მხარი დაუჭირა რეზოლიუციას, მხოლოდ ვეშაპელმა შეიკავა თავი და ასაბუთებდა თავის შეკავების მიზეზს მაგრამ მე ქართული არ ვიცი და ვერ გავიგე რა მიზეზით შეიკავა თავი". აი ბატონებო საითკენ უნდა მიიმართოს გულის წყრომა! თავმჯდომარემ გამოიტანა დადგენილება:—„მივმართოთ საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა და ვაჭარ-მრეწველებს, რათა დაუყოვნებლივ ყოველი ძალა მიიღონ, რომ შეაყენონ სისხლის ღვრა და შემდეგ ამისა შეგროვდეს ორივე მეზობელ რესპუბლიკათა შორის სათანადო თანხა ორივე რესპუბლიკათა შორის დახოცილ ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოდ.

ე. ი. ზავის შეკვრის შემდეგ და არა ომისა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის დროს! და განა იმნაირ რეზოლიუციის გამოტანა შესაძლებელია, როგორსაც ჰგულისხმობენ ზოგიერთები და ან დასაშვებია რომელსამე სახელმწიფოში? ვარწმუნებ ჩემს ნაცნობ მეგობრებს, რომ, მე არც ისე ვარ გაბრუებული ფანატიზმით, რომ ჩემი ხალხისთვის დანა მე თვითონ გავლესო! ამის შემდეგ ამოირჩიეს საფინანსო კომისია და მათში მოხვდნენ: ვ. ბერელაშვილი და არა ა. ბერელაშვილი, კ. მესხიშვილი, რომელნიც არ დასწრებიან კრებას და მე თქვენი უმორჩილესი [illegible]ონა, თუმცა უარი განვაცხადე იმ მიზეზებით, რომ 7 ანუ 10 დღე თბილისში არ ვიქნები მეთქი, მაგრამ მ[illegible] ჩაუწერივარ და იქიდან ნა[illegible]ჩანს, რომ ეს დადგენილება [illegible]ვნებელ შეეხება ზავის ჩამოგდების შემდეგ და არა ეხლა ძმათა შორის სისხლის ღვრის დროს.

იოსებ გველესიანი.

წერილი ძველ ათონიდან

ძველი ათონის მონასტერი, რომელიც ქალკედონის ნახევარ-კუნძულზე ძევს საქართველოს აღორძინებაში დიდ როლს თამაშობდა. მისი მნიშვნელობა ახლაც არ არის დაკარგული; საზოგადოება ვერ იცნობს კარგად ამ დიდებულ საუნჯეს, რომელშიაც დღეს 30-ღა ბერი მშობლიურ ენაზე ზენაარს ავედრებს საქართველოს. დღეს, როცა ათასი ხიფათი აბრკოლებს მონასტრის არსებობას ათონის მთაზე, საჭიროა ყველა ქართველი ყურადღებით მოექცეს ამ ერთად-ერთ ძვირფას მამულს, რომელიც საქართველოს გარედ შეგვრჩენია.

ათონის დამაარსებელი იყო წმ. იოანე ქართველი. „ესე ნეტარი მამა ჩვენი იოანე იყო მშობელთა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული და მთავართა შორის დავით კურაპალატის დროს მხნე და ახოვანი, გონიერი და საყვარელი და საკუთარი დავით კურაპალატისა" (გ. მთაწმინდელი).

იოანემ კონსტანტინოპოლში ყოფნისას დაიმეგობრა საქართველოდან კეისრის კარზე მძევლად წარგზავნილი ევთიმე, ამავე დროს საქართველოს სპასალარმა თორნიკე ერისთავმაც დაანება თავი სამხედრო სამსახურს და წავიდა იოანესთან ერთად. მათ აღაშენეს წ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი, რომელიც ახლა ქართველ მამებმა განაახლეს. ამ დროს განუდგა საბერძნეთის სამეფოს ბარდა სკლიაროსი და აღმოსავლეთის მხარე ხმლეთით სულ დაიკავა, გზა ყოველ მხრით შეკრა. განწირულ დედოფალმა ვეზირთა რჩევით მოიწვია თორნიკე სარდლად. თორნიკემ ყოყმანის შემდეგ ისევ აიღო ხელში ხმალი და სასტიკად შემუსრა ზვიადი სკლიაროსი. დარჩა აუარებელი დავლ[illegible] ფალმა მის მონასტერს შესწირა.

თორნიკეს შემწეობით აღაშენეს დიდი ივერიის მონასტერი იოანემ, ევთიმემ, თორნიკემ და გაბრიელმა და ბოლოს გიორგიმ, რომელმაც დიდი შრომა გასწია მონასტრისათვის და საქართველოს სამეფოსათვისაც. ბერძენთა იმპერატორებიც ხელს უწყობდნენ ათონის აღორძინებას. ლავრა მალე გაიზარდა. მალე გახდა ცენტრი კულტურისა. აქ დაინთო ჩირაღდანი მიუჩრდილებელი, რომლის სხივები დიდხანს არ დაშრეტილა. აქ გამზევდა ქართული ენა. აქ დაიწყეს თარგმნა წიგნებისა ბერძნულიდან ქართულზე ევთიმე, გიორგიმ და იოანემ. დავით კურაპალატმა მათ მეორე ოქროპირი უწოდა. მათ ხელი შეუწყეს საქართველოს რენესანსს. ვიმეორებთ. მისი მნიშვნელობა დღესაც მაღალია მეტად. ამისთვის არ უნდა დავივიწყოთ ქალკედონის ნახევარკუნძულზე ზღვებით გარემოცული ჩვენი პატარა მამული და წმინდა სალოცავი. მისი მოვლაც პირისპირ უნდა დაევალოთ კათალიკოზს და საკათალიკოზო საბჭოს, რასაც იმედია მთავრობაც თანაგრძნობას აღმოუჩენს.

მღ.-მონაზონი სამსონი.

„საქართველოს" რედაქციის ფონდი

ს—ძემ გაზეთის ფონდს 750 მანეთი შემოსწირა.

თავდაცვის ფონდი

ოლღა კვიტაშვილ-მაჭავარიანისამ შემოსწირა 40 მანეთი (ვერცხლად), ალექს. მაჭავარიანმა 60 მანეთი.

ქართველო ვაჭარნო და მრეწველნო!

თქვენი სამშობლო განსაცდელშია

უდიდესი ხიფათი მოელის თქვენს ერს, თქვენს მამულს, თქვენს თავსა და ოჯახს. ყველა ქართველი ვაჭარი და მრეწველი მოვალეა ყველაფერით დაეხმაროს მთავრობას ომის საქმეში და თავისი ვალი მოიხადოს წინაშე სამშობლოსი.

თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა: 1) შეგროვილ იქმნეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის 10 მილიონი მანეთი; 2) დაიყოს საქართველო ვაჭართა რაოდენობის მიხედვით რაიონებად და თითო რაიონს გაეწეროს ხვედრი თანხა; 3) ფულის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა; 4) შეგროვილი ფული უნდა შეტანილ იქმნეს ამიერ-კავკასიისა ან სამეურნეო ბანკებში თბილისში.

ფულის შემკრები მთავარი კომიტეტი.

(7—89—2)

ზ. მ. კოზაკის ფოტოგრაფიში

გაიხსნა **სტუდია** მხატვრულ სურათების შესასრულებლად

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა საღებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).

(10—85—5)

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი დოქტორი მედიცინისა

გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

საწყლებს უფასოთ.

ექიმი

კ. ტარ. ლორთქიფანიძე

დაბრუნდა ბაქოდან

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

ექიმი

ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოე" პირდაპირ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის ჰეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

ნიკ. ი. მაჭვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—54

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალკლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

ჯალანდარ ოზბიძე

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ.-აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება" დ. კალანდაძისა, გამგეთ შესახვევი № 1.